

**აქციის „Amediateka დამატებითი გადასახდელის გარეშე“
პირობები**

1. აქციის „Amediateka დამატებითი გადასახდელის გარეშე“ ფარგლებში სილქ ტვ მომსახურების მიმღები აბონენტები, სილქ ტვ მომსახურების სააბონენტო გადასახდელის ფარგლებში ისარგებლებენ დამატებითი სერვისით „Amediateka“;
2. სილქ ტვ მომსახურების მიმღებ აბონენტებს ავტომატურად გაუაქტიურდებათ წინამდებარე აქცია;
3. აქცია ვრცელდება DSL / ოპტიკური სილქ ტვ მომსახურების (ან კომბინაციის/სპეციალური შეთავაზების, რომელიც მოიცავს სილქ ტვ-ს) მიმღებ აბონენტებზე;
4. აქციის პირობების ავტომატურად აქტივაციის პერიოდი (ამ პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ დროს სილქ ტვ მომსახურებაზე ჩართული აბონენტებისთვის) და აქციის მოქმედების პერიოდი განისაზღვრება 2019 წლის 1 აპრილიდან - 2019 წლის 30 ივნისის ჩათვლით;
5. აბონენტისთვის აქციის ავტომატური აქტივაციის თარიღის მიუხედავად, აქციის მოქმედების ვადა განისაზღვრება მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე;
6. აქციის მოქმედების პერიოდში აბონენტს შესაძლებლობა აქვს, უარი განაცხადოს აქციის პირობებით სარგებლობაზე. აქციაზე უარის შემთხვევაში, აბონენტს ეზღუდება ხელმეორედ აქციაში ჩართვის შესაძლებლობა. აქციის გასაუქმებლად უნდა მოხდეს „Amediateka“-ს დეაქტივაცია მომსახურების ცენტრის მეშვეობით (იდენტიფიცირების წესი N1-ის მიხედვით);
7. აქციის მოქმედების პერიოდის ამოწურვის შემდეგ აბონენტს შეუწარმუნდება აქციის ფარგლებში გააქტიურებული დამატებითი სერვისი „Amediateka“ და დაერიცხება მისი სტანდარტული ღირებულება.
8. აბონენტი „Amediateka“-ს კატალოგში არსებული „18+“ კონტენტზე ისარგებლებს „18+“-ისთვის განკუთვნილი პინ კოდით. „Amediateka“-ს მენიუდან გამოსვლის შემდეგ („საშინაო სკოლის“, „ვიდეოთეკის“ და ა.შ მენიუში შესვლა, ან პროფილიდან გამოსვლა) საჭირო იქნება ყოველ ჯერზე პინ კოდის ხელახლა შეყვანა (სატელევიზიო არხებზე გადასვლა არ ჩაითვლება „Amediateka“-ის მენიუდან გამოსვლის ფუნქციად).